საქართველოს ეკონომიკური
განვითარების სამინისტრო

MINISTRY OF ECONOMIC
DEVELOPMENT OF GEORGIA

"21" _____ 2008 წ. № [illegible]

საქართველოს ფინანსთა მინისტრის მოადგილეს
ბატონ დიმიტრი გვინდაძეს

ბატონო დიმიტრი,

საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრომ განიხილა თქვენი 2008 წლის 21 ნოემბრის №07-02/11467 წერილით მოწოდებული საფრანგეთის რესპუბლიკის მთავრობასა და საქართველოს მთავრობას შორის გასაფორმებელი ფინანსური პროტოკოლის პროექტი და საქართველოს მთავრობას, წარმოდგენილი ფინანსთა სამინისტროს მიერ და ბანკ NATIXIS (საფრანგეთის რესპუბლიკის მთავრობის სახელით მოქმედი ბანკი) შორის გასაფორმებელი სასესხო ხელშეკრულების პროექტი.

გაცნობებთ, რომ ზემოაღნიშნულ პროექტებთან დაკავშირებით საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს კომპეტენციის ფარგლებში შენიშვნები არ გააჩნია.

პატივისცემით,

ეხტანგ ლეჟავა
მინისტრის პირველი მოადგილე

0108 თბილისი, ჭანტურიას ქ. № 12
12, G. Chanturia Str., 0108 Tbilisi, Georgia

Tel.: (995 32) 93 33 61, 98 43 11
Fax: 92 19 29, 93 28 61, 93 01 99

საქართველოს იუსტიციის სამინისტრო
MINISTRY OF JUSTICE OF GEORGIA

№01/23/13-11746 21. 11 2007 წ.

საქართველოს ფინანსთა მინისტრის მოადგილეს
ბატონ დიმიტრი გვინდაძეს

ბატონო დიმიტრი,

საქართველოს იუსტიციის სამინისტრომ განიხილა თქვენი 5/წ 21 ნოემბრის №07-02/11467 წერილით წარმოდგენილი საქართველოსა და საფრანგეთის რესპუბლიკის მთავრობას შორის გასაფორმებელი „ფინანსური პროტოკოლის" პროექტი, აგრეთვე, საქართველოს და „NATIXIS"-ს (საფრანგეთის რესპუბლიკის მთავრობის სახელით მოქმედი ბანკი) შორის ხელმოსაწერი „სესესხო ხელშეკრულების" პროექტი (საქართველოში სამოქალაქო აერონავიგაციის პირველადი და მეორადი რადარების და მასთან დაკავშირებული აღჭურვილობის მოწოდების ღონისძიებების საფრანგეთის კრედიტით დაფინანსების თაობაზე) და გაცნობებთ, რომ ზემოაღნიშნული პროექტების მიმართ სამართლებრივი ხასიათის შენიშვნები არ გააჩნია.

პატივისცემით,

თინა ბურჯალიანი
მინისტრის პირველი მოადგილე

საქართველო, ქ. თბილისი, 0146, რუსთაველის გამზირი №30, ტელ.: 75-82-34, 75-83-85, ფაქსი: 75-82-34, ელ.ფოსტა: intprivlawdep@justice.gov.ge
30 Rustaveli ave., 0146, Tbilisi, Georgia, Tel.: 75-82-34, 75-83-85, Fax: 75-82-34, E-MAIL: intprivlawdep@justice.gov.ge

საქართველოს ეროვნული ბანკი

0105, თბილისი, ლუბლიანის 3/5
ტელ.: 99-65-05, ფაქსი: 99 93-46
ტელექსი: 212952 LEGAL GE
ელ. ფოსტა: info@nbg.gov.ge
კოდი: 20410481

21.11.2008 № 223/03

საქართველოს ფინანსთა
მინისტრის მოადგილეს

ბატონ დ. გვინდაძეს

[თქვენს 2008 წლის 21 ნოემბრის N07-02/11167 წერილზე]

ბატონო დიმიტრი,

საქართველოს ეროვნულმა ბანკმა განიხილა საფრანგეთის რესპუბლიკასა და საქართველოს შორის ფინანსური შეთანხმებისა და ფინანსური ხელშეკრულების პროექტები, რომლებიც შეეხება საქართველოსთვის შეღავათიანი კრედიტის სახით 4 690 000 ევროს გამოყოფას.

გაცნობებთ, რომ საქართველოს ეროვნულ ბანკს თავის კომპეტენციის ფარგლებში, აღნიშნული დოკუმენტაციის მიმართ შენიშვნები არა აქვს.

პატივისცემით,

დ. ამაღლობელი

ეროვნული ბანკის პრეზიდენტის
მოვალეობის შემსრულებელი

"AERONAVIGATSIA" Ltd.

№ 8/1193 21 11

საქართველოს ფინანსთა მინისტრის
მოადგილეს ბატონ დიმიტრი გეინდაძეს

თქვენი 2008 წლის 21 ნოემბრის №07-02/11467 წერილთან დაკავშირებით გაცნობებთ, რომ ჩვენს მიერ განხილული იქნა საფრანგეთის რესპუბლიკის მთავრობასა და საქართველოს მთავრობას შორის გასაფორმებელი ფინანსური პროტოკოლის და ფინანსთა სამინისტროსა და საფრანგეთის რესპუბლიკის ბანკ NATIXIS-ს შორის გასაფორმებელი სასესხო ხელშეკრულების პროექტები.

წარმოდგენილ პროექტებთან დაკავშირებით რაიმე სახის შენიშვნა არ გაგვაჩნია.

პატივისცემით,

ირაკლი დავითაძე
დირექტორი

Airport, Tbilisi,
0158 Georgia

Tel.: (995 32) 744 [illegible]
(995 32) 744 [illegible]
(995 32) 744 327

საქართველო

საგარეო საქმეთა
სამინისტრო

№ 2/19803-14
„21" 11 2008

საქართველოს ფინანსთა სამინისტრო

თქვენი 21 ნოემბრის 07-02/11467 წერილის პასუხად გაცნობებთ, რომ „საქართველოს ფინანსთა სამინისტროსა და ბანკ NATIX-ს შორის სასესხო ხელშეკრულების პროექტი" საერთაშორისო ხელშეკრულებების შესახებ საქართველოს კანონის თანახმად, არ წარმოადგენს საერთაშორისო ხელშეკრულებას.

ირაკლი გიორგაშვილი
საერთაშორისო სამართლებრივი
დეპარტამენტის დირექტორი

0118 თბილისი, შთ ზიტაძის I. №4; ტელ: (995 32) 284648; ფაქსი; (995 32) 284678 www. mfa.gov.ge

საქართველო

საგარეო საქმეთა
სამინისტრო

№ 501/14
„22" 11 2008

დასკვნა
„საფრანგეთის რესპუბლიკის მთავრობასა და საქართველოს მთავრობას შორის ფინანსური პროტოკოლის"
პროექტზე

სამინისტრომ განიხილა „საფრანგეთის რესპუბლიკის მთავრობასა და საქართველოს მთავრობას შორის ფინანსური პროტოკოლის" პროექტი და ქვეყნის საგარეო პოლიტიკური და ეკონომიკური პრიორიტეტების გათვალისწინებით, მიზანშეწონილად მიაჩნია წარმოდგენილი პროტოკოლის დადება.

ნინო კალანდაძე
მინისტრის მოადგილე